

4
10-324

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ირინე ვითრგის ასული დემეტრაძე

ფატიკური კომუნიკაცია და ბრიტანულ-ქართული ყოფითი
განსვავებანი

(თანამედროვე ქართული და ინგლისური ენების მასალაზე)

10.02.04.- გერმანიკული ენები

10.02.07.-ენათმეცნიერების თეორია და ისტორია

ავტორუფერატი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი 1997 წ.

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ლილია გოქსაძე

ექსპერტი: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. რუსუდან ვნუქიძე

ოფიციალური თბონენტები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ია ფხაკაძე


ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოც. ნანა შენგელაია

დისერტაციის დაცვა შედგება 1997 წლის 18 აგვისოს 13 საათზე P10.02.C n6 სადისერტაციო საბჭოს სსდომაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ჭავჭავაძის გამზირი 1)

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (მალიც კორპუსში)

ავტორეფერატი დაიბეჭდა 1975

სადისერტაციო საბჭოს მდივანი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. *ნიკოლოზ წიბახაშვილი*



მოცემული სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ფატიკური კომუნიკაციისა და ბრიტანულ-ქართული ყოფითი თავისებურებების კვლევას. ენის ფუნქციითა შორის ენათმეცნიერები მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ ენის ფატიკურ ფუნქციას. ფატიკური კომუნიკაცია ემსახურება არა ფაქტობრივი ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას, არამედ თბილი, მეგობრული ატმოსფეროს შექმნას და უხერხული პაუზების თავიდან აცილებას. მოცემული ნაშრომი არის ცდა ვაწვინოთ ფატიკური კომუნიკაციის ზოგიერთი თავისებურება ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებით ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომის აქტუალობა: კომუნიკაციისა აუცილებელია სამეტყველო ეტიკეტისა და ქცევის ნორმების ცოდნა და დაცვა, რაც ფატიკური კომუნიკაციის სწორად დამყარების უნარსაც გულისხმობს. ფატიკური კომუნიკაცია არ ისახავს მიზნად რაიმე ფაქტობრივი ინფორმაციის გადაცემას. იგი ემსახურება არაოფიციალური საუბრის თუ საჯარო გამოსვლისას კეთილგანწყობის ატმოსფეროს შექმნას, რასაც განსაკუთრებული როლი ენიჭება დღეს, როგორც ერთი ენობრივი კოლექტივის შიგნით, ასევე სხვადასხვა ერების წარმომადგენელია ურთიერთობის ფარგლებში.

რამდენადაც ენა ერის თავისებურებათა ამსახველი ფენომენია, ერთი ენობრივი კოლექტივის წარმომადგენლებს ხშირად არასწორი შთაბეჭდილება ექმნებათ მეორე ენობრივი კოლექტივის წარმომადგენლებზე, რადგან ისინი არასწორად აღიქვამენ ამ ინდივიდთა ქცევისა თუ საუბრის ნორმებს. ცნობილია, რომ ყოველი ადამიანის მსოფლმხედველობა, შესუბუღებები და ცხოვრების წესი განისაზღვრება იმით, თუ როგორ გარემოში იზრდება იგი. თითოეულ ადამიანზე გავლენას ახდენს მისი ოჯახი, საზოგადოება, ქვეყანა და, რაღა თქმა უნდა, ენა. ამდენად, როდესაც ერთი ერის წარმომადგენელი განსხვავებული ყოფითი ნორმებისა და წეს-ჩვეულებების ქვეყანაში ხვდება, ან სხვა ერის წარმომადგენლებთან უხდება ურთიერთობა, მას არასასურველი რეაქციები შეიძლება აქონდეს. იგი შესაძლოა გაბრაზდეს, გაღიზიანდეს, დაიბნეს, უხერხულად იგრძნოს თავი, ცნობისმოყვარეობა აღუქრას ყოველივეს მიმართ, რაც მისთვის უჩვეულოა, ან შიში გაუჩნდეს რაიმე ახლის წინაშე. ასეთ შემთხვევებს, როდესაც ადამიანს გაუცხოების, მტრული დამოკიდებულების, ნოსტალგიისა და სიმარტოვის გრძნობა უჩნდება უცხო ყოფასთან შეჯახებისას, ჯთის მერილ ვალდესი ყოფით შოკს უწოდებს.* რამდენადაც ყოველი ენა, როგორც საკომუნიკაციო საშუალება, ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულებაა გარკვეული ერის ყოფისა, ენის შემსწავლელი ასევე უნდა სწავლობდეს ამ ენაზე მოსაუბრე ხალხის ყოფით ნორმებს. ამდენად, ყოფითი შოკი რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა დრმად შევიქნათ უცხოური ენისა და ამ ენობრივი კოლექტივის ყოფით სამყაროში. მოცემული სადისერტაციო ნაშრომი სწორედ იმდენად არის ღირებული, რამდენადაც მასში ყურადღება გამახვილებულია გან-

* Valdes, J.M. Culture Bound, Bridging the Cultural Gap in Language -Teaching; CUP; 1992.

1547